

თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები¹

(ბოდენის² დოკუმენტი)

2002 წელს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებულ იქნა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა-პროექტი – თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები, რომელიც უფრო „ბოდენის დოკუმენტის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

„თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“:

1. საქართველო წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს, დაფუძნებულს სამართლებრივ ნორმებზე. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები, დამტკიცებული 1991 წლის 21 დეკემბერს, არ ექვემდებარება ცვლილებას საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარეშე.
2. აფხაზეთი არის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. აფხაზეთს აქვს განსაკუთრებული სტატუსი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ეყრდნობა ფედერაციულ შეთანხმებას და განსაზღვრავს ზოგად უფლებამოსილებებს და საერთო კომპეტენციის სფეროებს და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, ამასთან წარმოადგენს აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების გარანტს.
3. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის უნდა ეყრდნობოდეს საკონსტიტუციო კანონის ძალის მქონე ფედერაციულ შეთანხმებას. აფხაზეთი და საქართველოს სახელმწიფო კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ ფედერაციული შეთანხმების დებულებებს. ფედერაციული შეთანხმება ურთიერთშეთანხმების გარდა არავითარ გარემოებებში არ

¹ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის სამშვიდობო ხელშეკრულებათა ბაზა GEO-PEACE DATABASE, ICCN. www.iccn.ge

² დიტერ ბოდენი, გაერო-ს გენ. მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი საქართველოში (1999-2002).

ექვემდებარება შესწორებებისა და დამატებების შეტანას, გაუქმებას და ბათილად ცნობას.

4. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის განსაზღვრული იქნება მათ შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის საფუძველზე. აფხაზეთის უფლებები და კომპეტენცია აღიარებული იქნება მეტი მოცულობით, ვიდრე ის სარგებლობდა 1992 წლამდე.

5. საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია შეცვლილი უნდა იქნას ფედერაციული შეთანხმებით განსაზღვრული კომპეტენციის გამიჯვნის შესაბამისად. ამისათვის შესაძლებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის, კერძოდ, მე-7 პარაგრაფის გამოყენება, რომელიც ეხება ერთობლივი ღონისძიებების უფლებებს.

6. აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელსაც საფუძველად შეიძლება დაედოს 1994 წლის 26 ნოემბრის აფხაზეთის კონსტიტუცია, შეცვლილი უნდა იქნას თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ფედერაციული შეთანხმებით.

7. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია, ისე აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეიცავდნენ ანალოგიურ დებულებებს, რომელიც შეეხება თითოეული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს, გამორიცხავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დისკრიმინაციას. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციაში, ასევე აფხაზეთის კონსტიტუციაში არაფერი არ უნდა არღვევდეს ყველა დევნილი და ადგილნაცვალი პირის უპირობო უფლებას – თავის სახლებში სრული უსაფრთხოების პირობებში და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დაბრუნებას.

8. საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთი უნდა შეთანხმდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და საქმიანობის თაობაზე, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით და ფედერაციული შეთანხმებით თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი საკითხების შესახებ“.